ქ. ბათუმში, გენ. ა. აბაშიძის ქუჩის რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების კონკურსის საშუალებით შესყიდვის

საკონკურსო კომისიის ოქმი №11-2

ქ. ბათუმი, 22 დეკემბერი, 2011 წ.

სხდომას ესწრებოდნენ: რობერტ ჩხაიძე - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, ქ. ბათუმის მერი;

არჩილ ვანაძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ქ. ბათუმის მერიის საფინანსო სამსახურის უფროსის მ/შ;

ვლადიმერ ხინთიბიძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ქ. ბათუმის მერიის ადმინისტრაციის შესყიდვების განყოფილების უფროსი.

თენგიზ პეტრიძე - სატენდერო კომისიის წევრი, ქ. ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოადგილე, ქ. ბათუმის მერიის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მ/შ.

სხდომას არ ესწრებოდა: დავით სამნიძე - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ქ. ბათუმის მერის მოადგილე, რომელიც იმყოფება კუთვნილ შვებულებაში (ქ. ბათუმის მერის ბრძანება №3/1255, 06.12.2011).

დღის წესრიგი: თვითმმართველი ქალაქის – ბათუმის მერიის მიერ ქ. ბათუმში, გენ. ა. აბაშიძის ქუჩის რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების კონკურსის საშუალებით სახელ-მწიფო შესყიდვის მიზნით სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებ-გვერდზე 2011 წლის 14 დეკემბერს გამოცხადებული N242 კონკურსის შედეგების განხილვა.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრმა ვლადიმერ ხინთიბიძემ კომისიას მოახსენა, რომ საკონკურსო განცხადების თანახმად, საკონკურსო წინადადების მიღება იწყებოდა 2011 წლის 15 დეკემბერს და მთავ-რდებოდა 2011 წლის 20 დეკემბერს 15^{00} საათზე. 2011 წლის 20 დეკემბერს 14^{10} საათზე საკონკურსო წინადადება დალუქული პაკეტით წარმოადგინა ერთმა პრეტენდენტმა: სს „აჭარკაპმშენმა“.

დალუქული პაკეტი საკონკურსო კომისიის მიერ გაიხსნა 2011 წლის 22 დეკემბერს. სს „აჭარკაპმშენს“ საკონკურსო წინადადების წარდგენისათვის გადახდილი აქვს საფასური 50 (ორმოცდაათი) ლა-რის ოდენობით და საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ითვალისწინებს საკონკურსო განცხადების 1.5

პუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

იქიდან გამომდინარე, რომ ზემოთაღნიშნული პირობა შესაბამისობაშია საკონკურსო განცხადების მოთხოვნებთან, საკონკურსო კომისიამ განიხილა სს „აჭარკაპმშენის“ მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება. განხილვისას აღმოჩნდა, რომ კონკურსანტს წარმოდგენილი აქვს საკონკურსო წინადადების ფასი - 47 000 (ორმოცდაშვიდი ათასი) ლარი, განმარტებითი ბარათი კონცეფციით, ტექნიკური დავალება, კონკურსანტი პირის რეკვიზიტები. რაც შეეხება ინფორმაციას კონკურსანტის გამოცდილების შესახებ, იგი მოცემუ-ლია საკონკურსო დოკუმენტაციის ცხრილის N1 შესაბამისად, მაგრამ სრულად ვერ აკმაყოფილებს საკონკურსო დოკუმენტაციის 2.3 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნას, კერძოდ პრეტენდენტის გამოცდილება უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში (2008, 2009, 2010 წ.) და 2011 წლის 1 ნოემბრამდე ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის მომსახურებაზე (საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება), წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, შეადგენს 109 900 ლარს და არა 250 000 ლარს, როგორც ეს იყო გათვალისწინებული საკონკურსო დოკუმენტაციით.

კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია სს „აჭარკაპმშენის“ საკონკურსო წინადადების დაზუსტება იმ მხრივ, რომ სრულყოფილად იქნება წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაციის 2.3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა, კერძოდ პრეტენდენტის გამოცდილება უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში (2008, 2009, 2010 წ.) და 2011 წლის 1 ნოემბრამდე ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის მომსახურებაზე (საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება) უნდა შეადგენდეს საერთო ღირებულებით არანაკლებ 250 000 (ორას ორმოცდაათი ათასი) ლარს.

კომისიამ დაადგინა:

1. სს „აჭარკაპმშენმა“, არაუგვიანეს 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში შეტყობინების მიღებიდან უნდა წარმოადგინოს დაზუსტებული, საკონკურსო დოკუმენტაციის 2.3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა ანალოგიური ხასიათის, სირთულისა და შინაარსის მომსახურებაზე (საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება) საერთო ღირებულებით არანაკლებ 250 000 (ორას ორმოცდაათი ათასი) ლარისა.

2. წინამდებარე ოქმი (თანდართული დოკუმენტებით) გაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნების მიზნით არაუგვიანეს 22 დეკემბრისა.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: რობერტ ჩხაიძე

საკონკურსო კომისიის წევრები: არჩილ ვანაძე

ვლადიმერ ხინთიბიძე

თენგიზ პეტრიძე